გამოყენების პირობები - Bluelink Store
თარიღი: [2025 წლის 2 აპრილი]

1. გამოყენების სფერო

გამოყენების ეს პირობები („ToU“), Bluelink გამოწერების და მოთხოვნით ფუნქციების, ან თქვენი მანქანის პროგრამული უზრუნველყოფის სხვა დანამატების შეძენაზე (ფუნქცია მოთხოვნით „FoD“) ვრცელდება, რომლებსაც Hyundai Connected Mobility GmbH, Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany (“Seller”, “Blueia”, “Hyu”) Bluelink Store-ის საშუალებით აწვდის და ყიდის. ყველა პროდუქტი და სერვისი, რომლებიც ამ წესების შესაბამისად არის შემოთავაზებული, უნდა მოიხსენიებოდეს, როგორც „Bluelink-ის მაღაზიის ნივთები“.
შეგიძლიათ, დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
bluelink@hyundai-europe.com

2. Bluelink Store

2.1. Bluelink ონლაინ მაღაზიის მიმწოდებელი („Bluelink Store“) არის Hyundai Connected Mobility GmbH.

2.2. ჩვენი Bluelink Store ნივთების შეძენა შემდეგნაირად შეგიძლიათ:

ა) Bluelink Store-ის ნივთის არჩევით და Bluelink Store-ში შეკვეთის პროცესის დასრულებით მომხმარებელი გამყიდველს ხელშეკრულების დადების შესახებ იურიდიულად სავალდებულო შეთავაზებას უკეთებს.

ბ) შეკვეთის პროცესის გაუქმებით და თავიდან დაწყებით მომხმარებელს შეყვანის შეცდომების შესწორება შეუძლია.

გ) გამყიდველი შეკვეთის მიღებას ელფოსტით შეკვეთის ავტომატური დადასტურების გაგზავნით ადასტურებს. შეკვეთის ეს დადასტურება თქვენი შეკვეთის მიღებას არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ გამყიდველის მიერ შეკვეთის მიღებას და შემდგომ დამუშავებას ადასტურებს.

დ) კონტრაქტი ძალაში Bluelink Store-ში შეძენილი ნივთის შესაბამის მანქანაში გააქტიურებისთანავე შედის. გამყიდველს უფლება აქვს, ნაწილობრივი მიწოდება განახორციელოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მომხმარებლისთვის უსაფუძვლოდ არახელსაყრელი არაა.

ე) იმისათვის, რომ Bluelink Store-ის ნივთების სრულად გამოყენება შეძლოთ, შეიძლება მომხმარებლისგან შემდეგი ნაბიჯები იყოს საჭირო.

ვ) Bluelink Store-ში შეძენილი ნივთის მაჩვენებლები და შეკვეთების ისტორია, მათ შორის, საცდელი პერიოდის, შეძენის და გამოყენების დასრულების თარიღების შესახებ დეტალები, Bluelink Store-ზეა ხელმისაწვდომი.

2.3. Bluelink Store-ზე მითითებული ფასები ადგილობრივ ვალუტაშია და დღგ-ს შეიცავს.

2.4. გადახდების შესრულება მხოლოდ Hyundai Pay-ის გამოყენებით შეიძლება, რომელიც Hyundai Pay-ის ანგარიშზე თქვენს დარეგისტრირებას საჭიროებს. გადახდის პროცესი და Hyundai Pay-ს გამოყენება Hyundai Pay-ს გამოყენების პირობებს ექვემდებარება, რომლებიც აქ არის ხელმისაწვდომი: [add link].
გადახდის ცალკეული ნაბიჯები და ვარიანტები Bluelink Store-ში შეკვეთის პროცესში განიმარტება და აღიწერება. 14-დღიანი უფასო საცდელი პერიოდის შემდეგ გადახდა წინასწარი შეტანით ხდება.

3. პირობები

3.1. Bluelink Store-ის ყველა ნივთი კონკრეტულ მანქანაზეა მიბმული და შეიძლება მხოლოდ შერჩეული ავტომობილისთვის გააქტიურდეს. სხვა მანქანაზე მისი გადატანა შეუძლებელია. გარდა ამისა, Bluelink Store-ის გააქტიურებული ნივთის მუშაობის მთელი დროის განმავლობაში, მომხმარებელს Hyundai-ს ანგარიში და მისი შესაბამისი მანქანა უნდა ჰქონდეს.
Bluelink-ის გააქტიურებისას მომხმარებელმა ასევე „Bluelink-ის გამოყენების პირობების“ მიმდინარე ვერსია უნდა მიიღოს, რომელზე წვდომაც აქ არის შესაძლებელი: [https://www.hyundai.com/eu/bluelink-terms-of-use]

3.2. თუ მომხმარებელი Hyundai-ის ანგარიშს წაშლის, ავტომობილს კავშირისგან გათიშავს, Bluelink-ს გამორთავს, „Bluelink-ის გამოყენების პირობების“ მიმდინარე ვერსიას (მათ შორის, საფუძვლიანი მიზეზით) გააპროტესტებს, ან საცხოვრებელ ადგილს Bluelink-ის შესაბამისი კონტრაქტის ზონის გარეთ გადაცვლის, Bluelink Store-ის ნივთით სარგებლობისთვის გადახდის ვალდებულება უცვლელი დარჩება. ამ შემთხვევაში უკვე გადახდილი საფასურის (პროპორციულად) დაბრუნება არ მოხდება.

3.3. Bluelink Store-ის ნივთებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმისაწვდომია თქვენი მანქანის მოდელისთვის, დამატებითი ინფორმაცია, სერვისის აღწერილობებისა და ფასების დეტალების ჩათვლით, შეგიძლიათ Bluelink Store-ში იხილოთ.

3.4. თუ Hyundai Bluelink-ის რომელიმე სერვისს და Bluelink Store-ის ნივთს დაბლოკავს ან „Bluelink-ის გამოყენების წესებს“ საპატიო მიზეზით შეწყვეტს, მომხმარებელი Bluelink Store-ის შესაბამის ნივთებისთვის გადახდილ თანხას (პროპორციულად) ვერ დაიბრუნებს.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

4.1. Bluelink Store-ს ნივთების შეთავაზება ყოველთვიურად (გამოწერა) ფიქსირებული და შეუზღუდავი ვადით ხდება.

4.2. ყოველი სააგნარიშსწორებო პერიოდის ბოლოს ყოველთვიური გამოწერა ერთი თვით ავტომატურად განახლდება. ყოველთვიური გამოწერის გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. ამ შემთხვევაში თქვენი გამოწერა თქვენს შემდეგ სააგნარიშსწორებო თარიღზე დასრულდება.

4.3. Bluelink გამოწერების გამოკლებით, იმ Bluelink Store Items-ისთვის, რომლებსაც ფიქსირებული ვადა აქვს, კონტრაქტი შეთანხმებული ვადის გასვლისთანავე ავტომატურად დასრულდება. კონტრაქტის გაგრძელება Bluelink Store-ის მეშვეობით შეიძლება. ეს შესყიდვის ახალ შეკვეთას მოითხოვს. კონტრაქტის ვადის ამოწურვისა და თქვენთვის ხელმისაწვდომი მოქმედებების შესახებ, წინასწარ შეგატყობინებთ.

4.4. იმ Bluelink გამოწერებისთვის, რომლებსაც ფიქსირებული ვადა აქვს [ერთი (1) წელი], შეთანხმებული საწყისი ვადის შემდეგ, კონტრაქტი ავტომატურად, შეუზღუდავი ვადით გაგრძელდება. განუსაზღვრელი ვადის მქონე კონტრაქტის გაუქმებას ნებისმიერ დროს შეძლებთ, რაც მომდევნო საანგარიშო თვიდან შევა ძალაში. საწყისი ფიქსირებული ვადის ამოწურვის და თქვენთვის ხელმისაწვდომი მოქმედებების შესახებ, წინასწარ შეგატყობინებთ.

4.5. იმ Bluelink Store Items-ისთვის, რომლებიც შეუზღუდავი ვადითაა გააქტიურებული, მომხმარებელს შესაბამისი ავტომობილის ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში, განუსაზღვრელი ვადით, მუდმივი გამოყენების უფლება აქვს. გამოყენების უფლება, ავტომობილის ექსპლუატაციის ვადის გასვლასთან ერთად წყდება.

5. ხელშეკრულებიდან მომხმარებლების გასვლის უფლება

5.1. ინსტრუქციები ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ
ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, მხოლოდ იმ მომხმარებელზე, ანუ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე ვრცელდება, რომელიც სამართლებრივ გარიგებას იმ მიზნებით დებს, რომლებიც უპირატესად ამ პირის ვაჭრობას, ბიზნესს, ან პროფესიას არ უკავშირდება.
ინსტრუქციები ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ
ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება
ამ ხელშეკრულებაზე 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარის თქმის უფლება გაქვთ.
ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა ხელშეკრულების დადების დღიდან 14 დღეში იწურება.
ხელშეკრულებიდან გასვლაზე თქვენი უფლების გამოსაყენებლად ამ ხელშეკრულებიდან თქვენი გასვლის გადაწყვეტილების შესახებ მკაფიო განცხადებით უნდა შეგვატყობინოთ (Hyundai Connected Mobility GmbH, Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany, [add telephone number], [add email-address]).
თქვენ შეგიძლიათ, ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის ნიმუში გამოიყენოთ, რომელიც ქვემოთ, 5.2 ნაწილშია მოცემული, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის.
ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში ხელშეკრულებიდან გასვლის თქვენი უფლების გამოსაყენებლად საკმარისია, აღნიშნული პერიოდის გასვლამდე ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინება გაგზავნოთ.
ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები
თუ ამ ხელშეკრულებიდან გახვალთ, თქვენგან მიღებულ ყველა გადასახადს აგინაზღაურებთ, მიწოდების ხარჯების ჩათვლით (გარდა დამატებითი ხარჯებისა, რომლებიც გამოწვეულია თქვენ მიერ მიწოდების სხვა ტიპის არჩევით, გარდა ჩვენ მიერ შემოთავაზებული სტანდარტული მიწოდების მცირეფასიანი ტიპისა), გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 14 დღისა იმ დღიდან, როდესაც ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ თქვენს გადაწყვეტილებას შევიტყობთ.
ჩვენ ანაზღაურებას იმავე გადახდის საშუალებებით შევასრულებთ, რომლებიც თქვენ საწყისი ტრანზაქციისთვის გამოიყენეთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თქვენ სხვაგვარად შეთანხმდით; ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ანაზღაურების შედეგად საკომისიოს გადახდა არ დაგეკისრებათ.

5.2. ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის ნიმუში
ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის ნიმუში
(ეს ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეავსეთ და დააბრუნეთ, თუ ხელშეკრულებიდან გასვლა გსურთ)
Hyundai Connected Mobility GmbH-მდე, Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany, [Phone number], [Email Address]

- მე/ჩვენ (*) გაცნობებთ, რომ მე/ჩვენ (*) გავდივარ(თ) შემდეგი საქონლის გაყიდვის (*)/შემდეგი სერვისის მიწოდების (*) შესახებ ხელშეკრულებიდან,
- შეკვეთილი (*)/მიღებული (*),
- მომხმარებელ(ებ)ის სახელი,
- მომხმარებელ(ებ)ის მისამართი,
- მომხმარებლ(ებ)ის ხელმოწერა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმა ქაღალდზეა წარმოდგენილი),
- თარიღი

(*) საჭიროებისამებრ წაშალეთ.

6. ცვლილებები

ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ეს ToU, ან Bluelink Store-ს ნივთები, მომავალი ეკონომიკური, სამართლებრივი და ტექნიკური ცვლილებების გამო, შემდეგი დებულებების შესაბამისად შევცვალოთ.

6.1. ცვლილებები, რომლებიც იურიდიულად თქვენთვის ხელსაყრელი ან ნეიტრალურია, ძალაში დაუყოვნებლივ შევა.

6.2. გარდა ამისა, ცვლილებების შეტანა Bluelink Store-ის მხოლოდ იმ ნივთებში შეგვიძლია, რომლებიც იმ ჩარჩოს სცილდება, რომელიც ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შენარჩუნებისთვის არის საჭირო, თუ ასეთი ცვლილებისთვის საფუძვლიანი მიზეზი არსებობს, ცვლილება თქვენთვის დამატებით ხარჯებს არ იწვევს და Bluelink Store-ს ნივთების არსს არ ცვლის და ცვლილების შესახებ მკაფიო და გასაგები ენით ხართ ინფორმირებული. საფუძვლიანი მიზეზი არსებობს, თუ ცვლილება აუცილებელია, რათა

- Bluelink Store-ის ნივთებზე წვდომა და გამოყენებადობა (მათ შორის ახალი ან გაუმჯობესებული არსებული ფუნქციების ან შესაძლებლობების დანერგვა) გააუმჯობესოს;
- საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებებთან Bluelink Store-ის ნივთების ადაპტირება მოხდეს;
- ჩვენს ან მესამე მხარის მიერ ოპერირებად სისტემებში ტექნიკურ ცვლილებებთან, სიახლეებთან, ან ჩვენი მომხმარებლების სისტემების ტექნიკურ განვითარებასთან Bluelink Store-ის ნივთების ადაპტირება მოხდეს;
- მნიშვნელოვანი საოპერაციო მიზეზების გამო საჭირო ცვლილებები შევიდეს;
- ცვლილებები განხორციელდეს, რაც გაურკვევლობების, შეცდომების ან საკანცელარიო შეცდომების აღმოფხვრის აუცილებლობით არის გამოწვეული, რომლებიც შეიძლება მოხდეს ToU-ში; ან
- ToU-ში მითითებულ საკონტაქტო დეტალებში, სახელებში, საიდენტიფიკაციო ნომრებში, ელექტრონულ მისამართებში, ან ბმულებში ცვლილებები განხორციელდეს.

6.3. 6.2 ნაწილში გათვალისწინებული ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც Bluelink Store-ის ნივთებზე თქვენს წვდომაზე ან მათ გამოყენებადობაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს, ინფორმაციას ცვლილებების მახასიათებლებისა და დროის შესახებ და თქვენს უფლებაზე, ხელშეკრულება უფასოდ, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ, გონივრული წინასწარი შეტყობინებით, მკაფიო და გასაგები ენით, სანდო საშუალებით მიიღებთ, თუ დამატებითი საფასურის გარეშე, Bluelink Store-ის უცვლელ ნივთებზე წვდომის და გამოყენების საშუალებას არ მოგცემთ.

6.4. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ToU-ში ყველა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ წინასწარ შეგატყობინებთ.

6.5. თუ ჩვენი შეტყობინებებიდან ორი კვირის განმავლობაში სხვაგვარად წერილობით არ შეგვატყობინებთ (მაგალითად, წერილის ან ელფოსტის გაგზავნით), ჩვენ ვივარაუდებთ, რომ თქვენ ცვლილებებს (ამას შეგახსენებთ, როდესაც დაგეგმილი ცვლილებების შესახებ შეგატყობინებთ) ეთანხმებით.

6.6. თუ გვამცნობთ, რომ ცვლილებებს არ ეთანხმებით, ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ხელშეკრულება ამ პირობების საფუძველზე გავაუქმოთ, რაც ძალაში იმ თარიღიდან შევა, როდესაც ცვლილებები უნდა შესრულდეს.

7. გარანტია

7.1. იმ შემთხვევაში, თუ Bluelink Store-ის მიერ მიწოდებული ნივთები დეფექტიანია, საგარანტიო ვალდებულებები მოქმედი ნორმატიული დებულებების შესაბამისად მოქმედებს.

7.2. გარდა ამისა, Bluelink Store-ის ნივთების პროგრამული უზრუნველყოფის განახლებების მიმართ შემდეგი მოქმედებს:

ა) თუ განახლებას არ დააინსტალირებთ ან არასწორად დააინსტალირებთ, ჩვენ პასუხისმგებელი არ ვიქნებით Bluelink Store-ის ნივთების რაიმე დეფექტზე, რომელიც კონკრეტული განახლების

არარსებობით არის გამოწვეული.

ბ) ზოგადად, თუ Bluelink Store-ის ნივთს (მათ შორის მის განახლებებს) დეფექტები აქვს, ითვლება, რომ ციფრული პროდუქტები მიწოდების წინა პერიოდში დეფექტიანი იყო.

ეს არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც (i) თქვენი ციფრული გარემო Bluelink Store-ის ნივთებისთვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს ჩვენსმიერ მითითებულ შესაბამის დროს არ შეესაბამებოდა, ან (ii) ჩვენ ვერ ვადგენთ, შესრულდა თუ არა ტექნიკური მოთხოვნები თქვენი უარის გამო, ითანამშრომლოთ გარემოებების სათანადო გამოძიებაში, სადაც ეს ამ მიზნებისთვის შესაძლებელია. ამასთან, შესაბამისი გარემოებების გარკვევის მიზნით ისეთი ტექნიკური საშუალებების გამოყენებას ვგეგმავდით, რომლებიც თქვენთვის მინიმალურ თავს მოხვევას წარმოადგენს.

7.3. როდესაც ხარვეზებთან დაკავშირებით პრეტენზიებს გამოთქვამთ, თქვენ ჩვენთან გონივრულად საჭირო და შესაძლო ფარგლებში უნდა ითანამშრომლოთ, რათა შეგვეძლოს გამოვიკვლიოთ, ხარვეზის მიზეზი თქვენს ციფრულ გარემოში ხომ არ იყო.
თანამშრომლობის თქვენი ვალდებულება შემოიფარგლება ტექნიკურად ხელმისაწვდომი საშუალებებით, რომლებიც თქვენთვის მინიმალურად თავსმოხვეულია.

8. პასუხისმგებლობა

8.1. განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, განურჩევლად სამართლებრივი საფუძვლებისა, ჩვენ პასუხისმგებლობას კანონის მოთხოვნების შესაბამისად ავიღებთ.

8.2. ჩვეულებრივი დაუდევრობის შემთხვევაში ჩვენ პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ავიღებთ, თუ მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულება დაირღვა; ეს პასუხისმგებლობა მოსალოდნელი, ჩვეულებრივ წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურებით შემოიფარგლება.
მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულება არის ვალდებულება, რომლის შესრულებაც ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად არსებითია და რომლის შესრულებასაც ხელშეკრულების პარტნიორი შეიძლება რეგულარულად დაეყრდნოს.

8.3. 8.2 ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობის შეზღუდვა სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებულ ზიანზე არ ვრცელდება. გარდა ამისა, პროდუქტის პასუხისმგებლობის კანონის შესაბამისად, ის თაღლითურ დამალვაზე ან ჩვენ მიერ გამონაკლისად აღებულ გარანტიაზე ან პროდუქტების ხარისხზე არ ვრცელდება.

8.4. იმდენად, რამდენადაც ჩვენი პასუხისმგებლობა გამორიცხული ან შეზღუდულია, ეს ასევე ჩვენი თანამშრომლების, წარმომადგენლებისა და აგენტების პირად პასუხისმგებლობას ეხება.

9. სხვადასხვა დებულებები

9.1. თუ ჩვენი კონტრაქტის რომელიმე პირობა არაქმედუნარიანად იქნება აღიარებული, თქვენ და ჩვენ ვთანხმდებით, რომ ჩვენი ხელშეკრულების სხვა პირობები ძალაში დარჩება და მათ არ შევეხებით.

9.2. ამ ToU-ის თითოეული პუნქტი ცალკე მოქმედებს. თუ რომელიმე სასამართლო ან შესაბამისი ორგანო გადაწყვეტს, რომ რომელიმე მათგანი უკანონოა, დარჩენილი პუნქტები სრულ ძალაში დარჩება.

10. მომხმარებელთა მომსახურება და დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

10.1. თუ შეკითხვები ან პრეტენზია გაქვთ, შეგიძლიათ, შემდეგ მისამართზე დაგვიკავშირდეთ:
Hyundai Connected Mobility GmbH
Kaiserleipromenade 5,
63067 Offenbach
Germany (გერმანია)
bluelink@hyundai-europe.com

10.2. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა არის პროცესი, როდესაც დამოუკიდებელი ორგანო დავის ფაქტებს განიხილავს და მის გადაჭრას სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე ცდილობს. ევროკომისია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პლატფორმას უზრუნველყოფს.
პლატფორმაზე წვდომა http://ec.europa.eu/consumers/odr/-ის საშუალებით შეგიძლიათ. Hyundai-ს მომხმარებლისთვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურებში მონაწილეობის ვალდებულება არ აქვს და მათში არ მონაწილეობს.

11. იურისდიქციის ადგილი და მოქმედი სამართალი

11.1. იურისდიქციის ექსკლუზიური ადგილი ყველა პრეტენზიისთვის, რომლებიც მოვაჭრეებთან საქმიანი ურთიერთობისას წარმოიქმნება, არის ოფენბახი, გერმანია.

11.2. იმავე იურისდიქციის ადგილი გამოიყენება, თუ მომხმარებელს გერმანიაში საერთო იურისდიქციის ადგილი არ აქვს, ადგილმდებარეობას ან ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილს ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვლის,

ან თუ მისი ადგილმდებარეობა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი საჩივრის წარდგენის დროს ცნობილი არ არის.

11.3. ყველა დავა, რომელიც ამ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან ან მის საფუძველზე წარმოიქმნება, გერმანიის კანონმდებლობით რეგულირდება, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ გაერო-ს კონვენციის (CISG) გამოკლებით.

11.4. თუ კლიენტი თავად არის მომხმარებელი, ანუ ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს სამართლებრივ გარიგებას, რომელიც უპირატესად ამ პირის ვაჭრობას, ბიზნესს ან პროფესიას არ ეხება, კანონის ეს არჩევანი მხოლოდ იმდენად ვრცელდება, რამდენადაც ის მომხმარებელს იმ ქვეყნის მომხმარებელთა დაცვის სავალდებულო დებულებებს შესთავაზებს, სადაც შეკვეთის დროს მომხმარებელი ჩვეულებრივ ცხოვრობს.